თქვა დიდებულმა და ძლევამოსილმა ალლაჰმა: "ადამის ძე მაწყენინებს, როცა დროს შეურაცხყოფს, მაშინ როცა მე ვარ დრო, ჩემს ხელშია ყველა საქმე, მე ვაბრუნებ დღესა და ღამეს

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვა დიდებულმა და ძლევამოსილმა ალლაჰმა: "ადამის ძე მაწყენინებს, როცა დროს შეურაცხყოფს, მაშინ როცა მე ვარ დრო, ჩემს ხელშია ყველა საქმე, მე ვაბრუნებ დღესა და ღამეს"».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰი მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ უზენაესი ამბობს ყუდსის ჰადისში: ენით მაყენებს ზიანს და მაკნინებს ადამიანი, რომელიც დროს შეურაცხყოფს და გმობს მას, როცა მასზე უბედურება და განსაცდელი ეწევა, რადგან სწორედ უზენაესი ალლაჰი არის ერთადერთი მმართველი და მომწესრიგებელი ყველაფრის, რაც ხდება. ამიტომ, დროის ლანძღვა ალლაჰის ლანძღვაა, რადგან თვითონ დრო მხოლოდ შექმნილი და დამორჩილებული რეალობაა, რომელშიც მოვლენები უზენაესი ალლაჰის ბრძანებით ხდება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66284